

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
პროგრამის ხელმძღვანელი
სწავლების ენა
კრედიტების რაოდენობა

180 ECTS

სამართალმცოდნეობა
სამართლის დოქტორი
პროფესორი მალხაზ ბეგიაშვილი
ქართული

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მისაღებად, სკოლის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო თემატიკის გათვალისწინებით, ცხადდება კონკურსი საკვლევე თემატიკის მითითებით. სადოქტორო პროგრამაზე მიღებიან სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური/გერმანული ენის არანაკლებ **B2 (Upper Intermediate) დონეზე ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს**, ან საზღვარგარეთ ინგლისურენოვან/გერმანულენოვან ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელ საბუთს ან ჩააბარებენ საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მისაღებ ინგლისური/გერმანული ენის გამოცდას. ინგლისურ/გერმანულ ენაში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი არის მაქსიმალური შეფასების 60 %. პროგრამაზე მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევის კონცეფცია, ასევე ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია ან სამაგისტრო ნაშრომი. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს:

ა) კანდიდატის კვლევით უნარებს; ბ) კონცეფციისა და თემატიკის შესაბამისობას სკოლის სამეცნიერო თემატიკასთან და რესურსთან.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სამართლის დარგის მეცნიერული განვითარების ხელშეწყობა ახალი მიგნებების გზით. პროგრამა მიზნად ისახავს სამართლის მეცნიერებისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარებას სამართლებრივი ასპექტების მეცნიერული დამუშავების გზით; პედაგოგიური და სხვა სახის სამეცნიერო-პროფესიული კადრის მომზადებას, რომელიც სრულფასოვნად ფლობს სამეცნიერო კვლევით მეთოდოლოგიას, აქვს სამართლის სისტემის არსში წვდომისა და დარგში სიახლის დანერგვის უნარი. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს სამართლის დარგში კვლევით და სამეცნიერო ორგანიზაციებში და ინსტიტუტებში მეცნიერ/მკვლევარად და უმაღლეს საგანმანათლებლო ორგანიზაციებში აკადემიურ თანამდებობებზე.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

- დისკუსია/დებატები;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- სიახლეთა გარჩევა;
- პრაქტიკული მუშაობა;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (Case Study);
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;
- სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა;
- შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- პრეზენტაციების წარდგენა.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება კურსდამთავრებულს ექნება

- სამართლის უახლესი მიღწევების, მათ შორის სამართლის დოგმატიკისა და ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის ახალი მიღწევების ცოდნა;
- სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- არსებული ცოდნის, სამართლის ძირითადი თეორიების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერების უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს ექნება

- სამართლის სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის უნარი;
- სამართლის თეორიების გადაფასების შედეგად ახალი სამართლებრივი მიდგომებისა და იდეების ჩამოყალიბებისა და შექმნის უნარი;
- რეფერირებად პუბლიკაციებში სამართლებრივი სამეცნიერო ნაშრომების და კვლევების შედეგების ასახვის უნარი.

დასკვნის უნარი კურსდამთავრებულს ექნება

- სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისთვის არგუმენტირებული და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი;

ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი სამართლებრივი შეხედულებებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების საფუძველზე ახალი ინოვაციური მეთოდოლოგიების საჭიროების განსაზღვრისა და განვითარების უნარი.

კომუნიკაციის უნარი კურსდამთავრებულს ექნება

- სამართლის სფეროში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში არგუმენტირებული და ნათლად წარმოჩენის უნარი, ქართულ და ინგლისურ/გერმანულ ენაზე;
- საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სამეცნიერო სემინარებსა და კოლოქვიუმებში საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან დისკუსიისა და დებატების უნარი.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება

- სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე ახალი იდეების განვითარების მზაობა სწავლისა და კვლევის პროცესში.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს ექნება

- სამართლებრივი ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევის უნარი;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განუხრელად დაცვის დასამკვიდრებლად ინოვაციური მიდგომების შემუშავების უნარი.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

დოქტორანტის დატვირთვა შედგება: სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისთვის. ხოლო 120 ECTS - კვლევითი კომპონენტისთვის.

სასწავლო კომპონენტების სწავლება სემესტრულია. სემესტრის ხანგრძლივობა განისაზღვრება - 22, ხოლო სასწავლო წლისა - 44 კვირით.

სასწავლო კომპონენტებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი კომპონენტის ავტორები, კვლევით კომპონენტებს კი - დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:

დოქტორანტის დატვირთვა		კომპონენტის განმარტვილებელი პირი	ხანგრმ ლივობა	კრედიტები (ECTS)
სასწავლო კომპონენტი	მეცნიერების ფილოსოფია	პროფ. თ. ბოჭორიშვილი	22 კვირა	10
	სწავლების მეთოდები	პროფ. შ.დუნდუა	22 კვირა	5
	პედაგოგიური პრაქტიკა	პროფ. მ.ჩხეიძე /შესაბამისი სკოლის პროფესორი (ხელმძღვანელი)	22 კვირა	5
	ტექსტის რეფერირება და თარგმნა	პროფ. მ.ჩხეიძე	22 კვირა	10
	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	პროფ.ქ. კუთხაშვილი	22 კვირა	5
	თვისობრივი კვლევის მეთოდები	პროფ. თ. ბოჭორიშვილი	22 კვირა	5
	კვლევითი პროექტის მომზადება და მართვა	პროფ. ე. გეგეშიძე	22 კვირა	10
	დარგობრივი მოდული (სპეციალობა)	შესაბამისი სკოლის პროფესორი	22 კვირა	10
კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტის ხელმძღვანელი		120	

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;	91% და მეტი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;	81-90%;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;	71-80%;
დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;	61-70%;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;	51-60%;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;	41-50%;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.	< 40%

სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა

შედეგების საშუალო	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)	საუნივერსიტეტო შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
97-100	4,00	A+	A	ფრიადი
94-96	3,75	A		
91-93	3,50	A-		
87-90	3,25	B+	B	ძალიან კარგი
84-86	3,00	B		

81-83	2,75	B-		
77-80	2,50	C+	C	კარგი
74-76	2,25	C		
71-73	2,00	C-		
67-70	1,75	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	1,50	D		
61-63	1,25	D-		
51-60	1,00	E	E	საკმარისი
უარყოფითი შეფასება				
41-50		FX	FX	ვერ ჩააბარა
<40		F	F	ჩაიჭრა

სილაბუსების დათვალიერება შეუძლია ნებისმიერ ავტორიზებულ მომხმარებელს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ სამართლის სკოლის და უნივერსიტეტის სხვა სკოლების [პროფესორ ებ. ი.](#)

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

- ინდივიდუალური შეხვედრებისთვის კეთილმოწყობილი აუდიტორიები აღჭურვილი უახლესი ინფორმაციული ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (პროექტორი, კომპიუტერი, უკაბელო ინტერნეტი);
- საპროფესოროები;
- ბიბლიოთეკა აღჭურვილი უახლესი ბეჭდური ლიტერატურით და ელექტრონული რესურსებით, მათ შორის Cambridge Journals, EBSCO, Jstor, Hein Online;
- თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები;
- ენების ლაბორატორია;
- უსაფრთხოების მიზნით შენობაში განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები და 24 საათის განმავლობაში უნივერსიტეტის თითოეულ კორპუსს ემსახურება დაცვა;
- ჯანმრთელობის დაცვის მიზნით უნივერსიტეტში არის ხანძარსაწინააღმდეგო უახლესი ტიპის ცეცხლმაქრი ბალონები, სათადარიგო სახანძრო კიბე, მეოთხე კორპუსში პროექტით გათვალისწინებული თანამედროვე ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
- თითოეული კორპუსის თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმა. მეოთხე კორპუსის სარემონტო სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობს ხანძარსაწინააღმდეგო საევაკუაციო გეგმაზე მუშაობა, რომელიც სარემონტო სამუშაოების დასრულებისთვის გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას;
- ექიმის კაბინეტი.

პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2006 წლის 30 ნოემბრის #4 ოქმით;
 პროგრამა განახლებულია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #56-14 ოქმით.